ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1512862

ნომერი: AR1250211

თარიღი : 20.09.2014

გაცემის თარიღი : 10.10.2014

გაცნობის თარიღი : 11.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "დიდი დიღომის ტერიტორია" ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- აბესალომ ჩხიკვაძე პ/ნ 01008004641
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 75 კორ. 3 ბ. 1

ორგანიზაცია:
- შპს "არქსტუდია დადუ" კოდი: 404907160

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 04 აგვისტოს #1418465 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 11 სექტემბერს #AR1250211 განცხადებით მომართა აბესალომ ჩხიკვაძემ და მოითხოვა სამსახურის 2014 წლის 04 აგვისტოს #1418465 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 04 აგვისტოს #1418465 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, "დიდი დიღომის ტერიტორია", კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.72.14.040.004), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 04 აგვისტოდან 2015 წლის 04 ოქტომბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები. კერძოდ, საზაფხულო ფართობი 162.6 კვ.მ–ის ნაცვლად 132.2 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 3040.0 კვ.მ–ის ნაცვლად 2432.0 კვ.მ. შესაბამისად, ცალკეული ფართობების ციფრული მაჩვენებლების შეცვლის გამო შეიცვალა საერთო ფართობი და 4371.6 კვ.მ-ის ნაცვლად შეადგენს 3733.2 კვ.მ–ს.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება 2014 წლის 04 აგვისტოს #1418465 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 04 აგვისტოს #1418465 ბრძანებაში, კერძოდ: საერთო ფართობი დაფიქსირდეს – 3733.2 კვ.მ, საზაფხულო ფართობი – 132.2 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი – 2432.0 კვ.მ;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 04 აგვისტოს #1418465 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.